სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 თებერვალი, 2025 წელი

ბრძანება N01-02/32

„ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N01-02/143 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის „დ“ პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N01-02/143 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N01-02/143 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების N1 დანართის (წესის) მე-5 მუხლის („შიდა მობილობის შედეგად ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და გამოცემა“) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სწავლის საფასურის დავალიანების მქონე პირის შიდა მობილობის (მათ შორის რიგგარეშე შიდა მობილობის) შედეგად შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვა (საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან იმავე საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესში დაბრუნება/სტუდენტის სტატუსის გააქტიურება) შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტის ელექტრონული განაცხადის ტექნიკურ გადამოწმებამდე (დადასტურებამდე) დაფარული იქნება სტუდენტის სწავლის საფასურის დავალიანება (აღნიშნულ ინფორმაციას შესაბამის სისტემაში ასახავს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი/საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესის დეპარტამენტი გამოითხოვს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტიდან). აღნიშნული წესისაგან გამონაკლისი (სწავლის საფასურის დავალიანების გადახდის გადავადება) შეიძლება დაიშვას მხოლოდ რიგგარეშე მობილობის დროს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით (ან/და წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილებით).“.

2. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიფიცირებული „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესი“ და

განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები"; ,,სტუდენტთა გზამკვლევი") და ბსუ-ს პორტალზე.

3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე